სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

42018201165023

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე ინდივიდუალური მეწარმის) მონაწილეობით პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230118961

რეგისტრაციის თარიღი

31.01.2023 წ

ნოტარიუსი: დავით ოყროშიძე
მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4
ტელეფონი: 995322745001

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდათერთმეტ იანვარს, მე, დავით ოყროშიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. #22/4 პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი, ბ-ნი **იოსებ მგელაძე** (საქართველოს მოქალაქე, დაბ. 11.03.1978წ., რეგისტრირებული: თბილისი შოთა რუსთაველის გამზ. N 50/1 ბ. 18, პირადი ნომერი: 01017002665), რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება **თბილისში, საქართველო** და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში მინდობილობის გაცემა და სანოტარო წესით დადასტურება. ბ-ნმა **იოსებ მგელაძემ** განაცხადა, რომ წარმოადგენს **შპს „თი ენდ ემ ფროფერთი“-ს** (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრაციის თარიღი: 01/09/2020, ს/ნ 405409838, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N37მ, სართული 37, ბინა N98) (შემდგომში - **„მარწმუნებელი“ და/ან „კომპანია“**) დირექტორს, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან „კომპანიის“ შესახებ და „კომპანიის“ წესდებისა. მან ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით წარმომიდგინა საკუთარი საქართველოს მოქალაქის **პირადობის მოწმობა (სერია:19IC04169)** რომლის ნამდვილობაც მე დამატებით შევამოწმე სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზემოაღნიშნულმა პირმა მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას დაესწრნენ: ქ-ნი **თეონა ბაბუციძე** (დაბ.05.11.1996წ. საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 59004005742, რეგისტრირებული: გორი ს. აჩაბეთი) და ქ-ნი **მარიამ ბუკია** (დაბ.24.10.1997წ. საქართველოს მოქალაქე, პ/ნ 42001037300, რეგისტრირებული: ხობი შ.რუსთაველის ქ. N 27).

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობასა და წარმომადგენლობით უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, მათ შორის მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებები, კერძოდ: მოწმეს არ უნდა ჰქონდეს შეზღუდული სამოქალაქო ქმედუნარიანობა და სანოტარო მოქმედებით არ უნდა იღებდეს სარგებელს პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით, მოწმე არ შეიძლება იყო სანოტარო მოქმედების მონაწილე რომელიმე მხარის და/ან ნოტარიუსის ნათესავი აღმავალი და დამავალი ხაზით, მესამე რიგის ჩათვლით, ასევე სანოტარო მოქმედების მონაწილე იურიდიული პირის დაქირავებული პირი, რაზეც მივიღე დადასტურება, რომ მოწმეობის გამომრიცხავი გარემოება არ არსებობს.

განმარტებების მოსმენის შემდეგ, **იოსებ მგელაძემ** ნოტარიუსისა და ზემოთ მითითებულ დამსწრეთა თანდასწრებით, განაცხადა, რომ სურს მარწმუნებლის სახელით გასცეს და სანოტარო წესით დაამოწმოს მინდობილობა. მე, პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში, მოწმეთა თანდასწრებით დავადგინე მარწმუნებლის წარმომადგენლის ნება, რომლის შესაბამისადაც შევადგინე მინდობილობის შემდეგი ტექსტი:

მინდობილობა

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდათერთმეტ იანვარს, **შპს „თი ენდ ემ ფროფერთი“-მ** (რეგისტრირებული: 01/09/2020, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N37მ, სართული 37, ბინა N98, ს/კ 405409838) (შემდგომში - **„მარწმუნებელი“ და/ან „კომპანია“**) წარმოდგენილმა დირექტორის, **იოსებ მგელაძის** მიერ

ქ-ნ ირინე ჟორჟოლიანს (საქართველოს მოქალაქე, პირადი #01015000457) (შემდგომში - **“რწმუნებული”**) მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის მუნიციპალურ ორგანოებში, გამგეობებში, ქ. თბილისის მერიაში და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში (მათ შორის და არა მხოლოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, სსიპ არქიტექტურის სამსახურში, არქიტექტურული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში და სხვა), იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში და მათ დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში, როგორც მარწმუნებლის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, რომლის მონაწილე მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს მარწმუნებელი, მათ შორის, რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებთან: მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N37მ, საკადასტრო კოდებით: 01.14.14.003.176.01.02.007 და 01.14.14.003.176.01.02.500 დაკავშირებით განახორციელოს ნებისმიერი პროექტის შეთანხმება/კორექტირება და ნებისმიერი სახის და შინაარსის ნებართვის მიღება, მათ შორის და არა მხოლოდ: აბრის/აბრების განთავსებასთან დაკავშირებით ნებისმიერი ნებართვის მიღება, წარადგინოს დოკუმენტები, როგორც მატერიალურად/ისე ელექტრონულად წარადგინოს პროექტები, განცხადებები, დეკლარაციები, ცნობები, სხვა აუცილებელი დოკუმენტები, მოაწეროს ხელი, მიიღოს ადმინისტრაციული ორგანოებიდან თუ კერძო ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან ნებისმიერი შინაარსის ცნობა, მოწმობა, ბრძანება, ნებართვა, ამონაწერი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, მოახდინოს აუცილებელი მოსაკრებლების და გადასახდელების გადახდა, აგრეთვე შეასრულოს ყველა სხვა მოქმედება, რაც აუცილებელია წინამდებარე დავალების შესასრულებლად;

2. მინდობილობა გაცემულია უძრავი ქონების განკარგვის (გაყიდვის, გაცვლის, გაჩუქების და ა.შ), ასევე რაიმე სახით უფლებრივად დატვირთვის უფლების გარეშე;

3. წინამდებარე მინდობილობა ძალაშია 3 (სამი) თვის ვადით;

მინდობილობის შინაარსი მე, ნოტარიუსმა პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში გავაცანი ბ-ნ იოსებ მგელაძეს. ამ უკანასკნელმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის შინაარსი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს ქ-ნ მარიამ ბუკიას.

მინდობილობა შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა მარწმუნებლის თხოვნით მის ხელმომწერ პირს, ხოლო ერთი ინახება ნოტარიუს დავით ოყროშიძის სანოტარო ბიუროში. არქივში დაცულ ეგზემპლარს თან ერთვის ამონაწერი

სამეწარმეო რეესტრიდან „კომპანიის“ შესახებ, სანოტარო არქივში ინახება სანოტარო მოქმედების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ვიდეო და აუდიო ჩანაწერი ციფრულ ფორმატში.

„კომპანიის“ წესდება ინახება ჩემი სანოტარო ბიუროს არქივში.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებულისათვის: 90.00, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის და 32-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ - 16.20 ლარი, თანახმად საგადასახდო კოდექსის 166-ე მუხლისა, და სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების 39-ე მუხლისა.

მარწმუნებლის ნაცვლად

ხელს აწერს: _____

მოწმე: _____

ნოტარიუსი



